

თეატრი



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

16 თებერვალს

გამოიცვამა

№ 7

კვირბო

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მო-
წერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში
„თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მ. შ. ჭილაძეებს წიგნის მაღასიაში. გარეშე მისწავლათაგან აღრესი:
Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი შეორე)

პროგრამა და სიერცე ვაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირბობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერათაგან ღირს სუთი (5)
მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

აწყო 1886 წლიდან აქაპი წარბთელი დამოუკიდებელ მონაწილეობას მიიღებს.
ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

მართული თეატრი

კვარას, 16 თებერვალს

ბენეფიცი

კასნირის

მ. მ. ფირალოვისა

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

თამარ ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. პ. მესხისა

ოინბასი ანუ ჰრიკაშნიკი შკაფში

მოდეილი 1 მოქმედ. პ. სავარლისა

დასასრულ

ლეკური

დასაწყისი 8 საათზედ.

მართული თეატრი

მთხზაბათს ნ. ბაბუნია-სავარლის ბენეფიციში
წარმოდგინეს „ხანუმა“ კომედია 3-ს მოქმედ. და
ოთხს სურათად თხზ. პ. სავარლისა და მეორე „ღე-

და და შეილი» ისტორიული ხრონიკა 1-ს სურათად თხზ. ი. შავჭავჭავაძისა. საერთოთ, როგორც წინათაც მოვიხსენიეთ, ა. ცაგარლის პიესებზედ ბაასი და მსჯელობა ტყუილი დროს დაკარგვია, რადგანაც მაცქერალი ნათლათა ხედავს, რომ აზრი ამ შემთხვევაში მეტად პასივნურს მონაწილეობას იღებს და მხოლოდ ყოველივე თეატრალური ხელოვნება სიტყვების ქანაობას და ოხუნჯობას არის ნაცვალები.

ბ. ავტორის აზრით თეატრალური ხელოვნების ღირსება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სცენაზედ უწმაწური სიტყვები ილაპარაკონ მომქმედმა პირებმა და ხალხმა იცინოს; დიხს, ბატონო, კარგია შეზავებული ხუმრობა, მაგრამ გადაჭარბებული არა ვარგარა.


სად გაგონილა, სად ამოუკითხავ ან რომელს სცენაზედ უნახავს, რომ ერთმანეთს დედ მამის გორხანას აგინებდნენ და სხვა ბევრს ამ გვარს?.. მაგრამ უკაცრავთ, სრულიად დაგვევიწყა, რომ «ივერიის» კრიტიკოსთა მთავარმა ბ. ალექსანდრიძემ ამ გვარსავე მსჯელობა აგვიკრძალა, რადგანაც ღირსეულს პირად მხოლოდ თავის ცარიელი თავი მიიღო, რომელმაც კაცობრიობას ენლა აუხილა თვალი და ვააცნო, თუ როგორ უნდა კრიტიკის წერა. ღარწმუნებელი ვართ, რომ თვითონ წარჩინებული კრიტიკოსნი: ბერნე, მოკალევი, ბელინსკი, პისარევი, ლობროლიუბოვი და სხვა ბევრნი, დაბლა თავს მოუხრიან, როგორც მთელი ლიტერატურის წარმომადგენელს პირს, რომელსაც ისე ესმის ეს საგანი, როგორც ყვეს სულის ცხონებისა. მაგრამ „მხსლას“ ამის მეტი აღარა დაგვრჩენია-რა: აი ბ. ალექსანდრიძეს საქმეც ვგრეა, მაგრამ გამოტებით უნდა გითხრათ, დიდათა ვწუხვართ, რომ ბ. ალექსანდრიძის რღამ უძირო კრიტიკული შეხედულობა არა გვაქვს, რომ «ხანუმა» გავარჩიოთ და ჯეროვნათ დავაუასოთ, მაგრამ ამ გენიოს კრიტიკოს ერთი ბედნიერება სჭირს, რომ სხვის აზრს სამჯერ იმეორებს, აი ეს შემთხვევა უფრო მაღლა აყენებს და ერთი ათათ აძლიერებს მაში სიმხნევეს.

რაიცა ამ კომედიაში მოთამაშეთ შეეჩება რიგინათ შეასრულეს თავის როლები, ნ. ბაბუნია-ცაგარლისამ და მ. აბაშიძემ, მხოლო რაიცა დანარჩენებს შეეჩება ცოტა არ იყო კოკლობდენ. არ ვიცით რა მიზეზი იყო, რომ მ. საფაროვი-აბაშიძისა, თავისებურათ გულიანათ ვერ თამაშობდა ცქრილა ქალის როლსა, რაღაცა გულ-გრელობა ეტყობოდა, თუმცა კი არა დაუშავებია რა.

ი. ცაგარელს (მიკიჩ) კი მანამ მსნის სტანციაში ავიღოდა და უკან დაბრუნდებოდა როლი დავიწყებოდა და სიტყვებს ერთმანეთზედ ველარ აბამდა.

მეორე წარმოადგინეს „ღედა და შეილი“, მაგრამ ჩვენი აზრით ამ გვარი სურათების დადგმა სრულიად უადგილოა, რადგანაც სცენიკურს კანონებს სრულიად მოკლებულია და მინცა-და-მინც თუ დაღვეს, ისეთმა პირებმა უნდა ითამაშონ, რომ რიგინათ და გრძნობიერათ კითხვა შეეძლოთ და არა სიმღერით ლაპარაკი, როგორც ნ. ბაბუნია-ცაგარლისა და მ. ალექსიევი-მესხიევი, რომლებიც ლექსის კითხვის კილოს სრულიად მოკლებულნი ყოფილან და ამას, რომ ზედ დაუმატოთ ბ. მესხიევის როლის უსწავლელობა, ერთი სიტყვით სრულიად მახინჯობა გამოდიოდა.

ი. კავთელი.



ბ. პ. მირიანაშვილის წერილის გამო.

ამ უკანასკნელ დროში, როგორც ბ. პ. მირიანაშვილი შენიშნავს, ჩვენდა საუბედუროდ თითქმის ყოველ კუთხეებში ჩვენი ქვეყნისა ვრცელდებიან უმნიშვნელო სიმღერები, როგორც ნათარგმნები, აგრეთვე ორგინალებიც, სახის შეუტყველად. მიზეზი ამა მოვლენისა ადვილი ასახსნელია: პირველი მიზეზი არის რომ ზოგიერთს ჩვენ პოეტებს მოდათ მიუღიათ თარგმნა უმნიშვნელო სიმღერებისა სხვა-და-სხვა ენებიდან. ჩვენ ვერ ავიხსნია მიზეზი ამ უკანასკნელთ მიმართულებისა. ნუ თუ ესენი ჩვენს საკუთარს სიმღერებს და კილოებს წუნს სდებენ? თუ ამ თვლით უყურებენ ბბ. მთარგმნელები ჩვენს მნიშვნელობით და ხელოვნებით სავსე სიმღერებს, უეჭველია ისინი სცდებან. ჩვენ არ გვინდა ამით ვსთქვათ, რომ სიმღერები არ უნდა ითარგმნებოდნენ, არა სათარგმნი სიმღერების შეძენაც კარგი განძია, მაგრამ ამ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა ამოიჩიოს კარგი ხელოვნური სიმღერა და უნდა ეცადოს, რომ გადააკეთოს ჩვენს კილოზე, ერთი სიტყვით უნდა დააყენოს ჩვენს ნიადაგზე. ჰოველ შემთხვევაში უნდა ვსთქვათ, რომ სხვა ენებიდან ხალხური სიმღერების თარგმნაზე უკეთესი იქნებოდა მთარგმნელთ (სხვასაც არ აწყენს) შეძლებისადაგვარად ჩვენი ძველი ხალხური სიმღერების მოგროვებისათვის მიეყოთ ხელი და ცოტ-ცოტათ ჩვენი დრო გამოუშვებითი გამოცემების შემწეობით განეხლად ძველი სიმღერები. ჩვენ დარწმუნებუ-

ლი ვართ, რომ არც ერთი რედაქცია უარს არ ეტყვის მსურველთ. ამ ნაირად ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ მკითხველ საზოგადოებას, მით რომ განახლებენ იმ მნიშვნელობით სავსე სიმღერებს, რომელნიც დღე-დღეზე ჰქრებიან სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. საზოგადოდ ჩვენს ქვეყანაში თითქმის უყურადღებოდ არიან მიგდებულნი ხალხური სიმღერები, როდესაც სხვა ქვეყნებში ყოველ ძალ-ღონეს ხმარობენ მათი მოგროვებისთვის. ხალხური სიმღერებს არ უნდა უყურებდეთ მარტო, როგორც გასართობ საგანს. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც საზოგადოდ ლიტერატურაში, ეგრეთვე ისტორიაში. ამ მნიშვნელობის შესახებ ქვემო ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

ხალხური სიმღერებში მოიპოვება უხვი მასალა განსასაზღვრელად ხალხის ჩვეულებისა, მიმართულებისა ერთმანეთისადმი, მიმართულებასა გარემოცული საგნებისადმი, მისი წარსული და აწმყო. იმათში გამოიხატება ცხოვრება: მხიარული, საზოგადოებრივი და საოჯახო. სიმღერას აქვს თვალსაჩინო თანდართულება ხალხის ცხოვრებასთან; ისინი იპყრობენ ყოველ მხარეს ხალხური ცხოვრებისა. ხალხს უყვარს სიმღერა, როგორც ნამდვილი დამცველი ნაციონალური გარდმოცემისა. სიმღერებში აღიხატებიან ნამდვილი შემთხვევები ძველი ხალხური ცხოვრებიდან; იმათში დიდათ თუ ცოტათ განისაზღვრებიან ადგილი და დრო იმა შემთხვევისა, რომელიც შეადგენს მათ საგანს. სიმღერები იბადებიან იმისთანა წრეში, სადაც იღვამს ფესვს საზოგადოებრივი ცხოვრება. სიმღერები შინაარსით განიყოფებიან ორ დიდ ნაწილად მიუხედავად მისი გარეგანი ფორმისა: სამღერები საზოგადო და საოჯახო. საზოგადო სიმღერას უჭირავს ადგილი უფრო ფართო წრეში, ვიდრე საოჯახოს; იგი იპყრობს ინტერესს არა ერთი ან ორი პირისა, არამედ მთელი საზოგადოებისა, სადაც იგი იმღერება. სიმღერებში ეპოვებთ მრავალ მასალას ისტორიისათვის და ხალხური მითოლოგიისთვის. ამ ნაირი მნიშვნელობებს ჩვენი ხალხური სიმღერები მოკლებულნი არ არიან და ამისთვის იმათი მოგროვება და გამეორება უფრო სასარგებლოა ვიდრე უმნიშვნელო სიმღერების თარგმნა. ამით ვთავეთ ამ წერილს და შემდეგ წერილებში შეძლებისადაგვარად ვეცდებით „თეატრის“ შემწეობით მოველაპარაკოთ პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას ზოგიერთი ხალხური სიმღერებზე.

კ. საღაჯია.

ისტორიული სურათები

მთხი დღე აკლდა ნოემბრის იღის დასრულებას (10 ნოემბერს 675 წ. რომის ქარონიკოთი) პუბლი სერვილის და აპი კლავდის კონსულობის დროს, მზის ამოსვლამდინე რომის ხალხი დიდს მოძრაობაში იყო, რომელიც ყველა კუთხიდან დიდის ცირკისაკენ მიეშურებოდენ.

მიწრო, ბრუდე და მჭიდროთ მცხოვრებელს ხალხს ესკვილია და სუბორის ქუჩაში, რომელზედაც მეტი ნაწილი უბრალო ხალხი ცხოვრობდენ, ყოველთვის მოდიოდენ დიდის დასობით სხვა-და-სხვა წოდების და შეძლების ხალხი გაიფინებოდა ხოლმე ამ ქუჩაზედ, რომელიც პირ-და-პირ ცირკისაკენ მიდიოდა: მოქალაქენი, მუშები, დროებითი დათხოვნილი მონები, გლადიატორები, რომლებიც დაჭრილი და დაზარებულნი იყენენ, გლახანი, ძველი მხედარნი, რომლებმაც დაიპყრეს აზია, აჭრია და კიმერები, მდაბალი წოდების დედა-კაცები. მოთამაშენი და პატარა ბავშვები, რომლებიც ამხიარულებდენ თავიანთ ხმაურობით ხალხს და ცირკისაკენ მიეშურებოდენ. ამ ხალხის სიმხიარულის დაშლა თვითონ ცასაც ვერ შეეძლო, რომელიც რალაცა შექმუხნილი სახით ძირს აედრით მოღხინე ხალხს ემუქრებოდა. მს ცირკი ააშენა ტარკინიე უფროსმა და შემდეგ როცა აშანამ შეიპყრო, გაალამაზა და გაადიდა ტარკინიე აშაქმა მას შემდეგ დაერქო დიდი ცირკი, სხვა ცირკების განსხვავებლად, რომელიც ააგო პ. ფლმინიემ და იმისავე სახელი დაერქო.

მს ცირკი მურციას ხეობაზედ მდებარეობდა, პლანტინს და ავენტის გორების შუა, ისეთი მშვენიერი და დიდი არ იყო, როგორც შეფერობდა ამ ჩვენგან აღწერილს ეპოქას, მხოლოდ იული სეზარის და აკტავიან ავეუსტის დროს ამაღლდა და გამშვენიერდა. მაინცა-და-მაინც ეს ცირკი დიდს შენობას წარმოადგენდა: სიგძით 290 ფუტი და სიგანე 990 ფუტი, რომელშიაც 150,000 მაკქერალი ხალვათათ თავსდებოდა.

მს უზარ-მაზარი შენობა ყოველთვის სამსე იყო ხოლმე ხალხით. აქ მოდიოდენ არამც თუ მარტო პლებები, არამედ პატრიოტებიც, ერთი სიტყვით ყველა ის პირნი, რომლებსაც უყვართ ქიფი და სამხიარულო სანახავეები.

რა იზიდავდა ამოდენა მაყურებელი ამ ჩვენგან აწერილს დღეს ცირკში?

ლუცი კარნელი, სულა ბენიერი, რომელიც თავზარსა სცემდა რომს და უმფარველობდა იტალიას, უეჭველია უნდოდათ ერთი წუთით დაევიწყ-

ნათ ის წვალება და მუდმივი ტანჯვა, რომელიც ბატონების წყალობით თავს ეცემოდათ. რამდენიმე კვირის წინათ უბრძანა, გამოეცხადებინათ სამი დღე ზედღედ საღილები და სამხიარულო საყურებელნი რომაელი ხალხისათვის. ძვირადღებულ რომაელი პლებიები მარსის მინდორზედ სუფრაზედ ისხდნენ, რომელიც მკაცრი დიკტატორის ბრძანებით იყო მომზადებული. ღიდის სიმხიარულით და ხმაურობით გაათენა ხალხმა ეს ღამე. მულ-უხვად არიგებდა საჩუქრებს ზოგს საქმელს, ზოგს მშვენიერს სხვა-და-სხვა გვარს სასმელებს.

სულლას ბედოვლათობა იქამდინ მივიდა, რომ ამ უქმების განმამავლობაში, რომელიც იყო ჰერკულესის სადღესასწაულოთ გამართული, მეთედი ნაწილი თავის ქონების სამლოთო მოიტანა. აუარებელს საქმელს ჰქრიდენ და თითქმის ორმოცის წლის შენახულს სასმელებს მდინარეში აქცევდენ. ამ ნაირათ სულლა მარტენა ხელით ურიგებდა რომაელებს იმ სიმდიდრის ნაწილს, რომელიც იმათვე წართვა თავის მხეტურის უფლებით. პირის სახეზედ სიმხიარულე ეტყობოდა, მაგრამ გული კი მოშურნეობითა ქონდა აღვსებული და სცილობდა დაეფარა.

შუაღლე ახლოვდებოდა. სხელი მზის სხივები ოქროს ფერათა ფერადდენ გორებს, ტაზრებს და უზარმაზარს პატრიცების პალატებს, რომლებიც მარმარილოთი იყენენ აგებულები; გუნდ-გუნდათ იკრიფებოდნენ ხალხი და მზეზედ თბებოდნენ, რადგანაც ცოტა არ იყო ციოდა ამ ცირკში.

ორი ათასამდის ხალხი მოგროვდა ცირკში, რომ დასწრებოდნენ რომაელ გლადიატორების ბრძოლას თუ მხეცებივით როგორ დახოცდნენ ერთმანეთს. ამ მოედანზედ პირველი ადგილი ეკავათ, პატრიცებს, ბანკირებს და მდიდართ უცხო ქვეყნიდან მოსულთ პირთ, რომლებიც გუნდ გუნდათ მოგროვდებოდნენ ხოლმე იტალიაში, მესამე სკამიკაზედ, ტრიუმფალნი ალაყაფის კარების ახლო, გასპეტაკებული მშვენიერი მატრონა იჯდა. მაღალი, წარმოსადგვი ტანისა, განიერი და მშვენიერი მხრებიანი. პირველსავე შეხედვაზედ გვერდებოდათ, რომ ნამდვილი რომაელი იყო და რომაელის სისხლი სცემდა იმის ძარღვებში. ზომიერი პირის მოყვანილობა, ღიდი ფართო შუბლი, ამის შესაფერი სწორე ცხვირი, პატარა პირი, რომლის ტუჩები გვერდებოდა კოცნის წყურვილით არიან საესენი, შავი ცოცხალი თვალები, ყოველივე ეს ერთათ ამშვენებდა ამ ქმნილებას; შავი გიშერისავით მხრებზედ ეყარა სქელი და ძელი ხუჭუჭი თმები, რომელსაც ამშვენებდენ სხვა-და-სხვა გვარი ძვირფასი ნივთები. იმის ტანსაცმელი აბრაშუ-

მის და ძვირფასი ხავერდისგან იყო შემდგარი, რომელიც ისე საკურველოთ ამშვენებდა იმის მოხდენილს წარმოსადგე ტანს.

მს მდიდარი და მშვენიერი ქალი, ჯერ ოცდაათის წლისა არ იყო. იმას ეძახდნენ მალერიის. ის იყო მალერია მესალის ქალი და ღვიძლი და ძვინტა ბორტენზისი. ბორტენზი იყო გამოჩენილი ორატორი, რომელიც სიცერონს არ ჩამოურჩებოდა. შემდეგში კონსულობა მიიღო (685 წ.) ცოტა ხნის შემდეგ რომელი დროც ჩვენ ზევით ავსწერეთ. მს ქალი გაშორდა თავის ქმარს, რადგანაც კაცობრიული სქესი არა ჰქონდა, თუმცა ამ მიზეზით გაშორდა თავის ქმარს, მაგრამ მიზანი კი სრულიად სხვა იყო და მთელს რომში იმის ცუდს ქცევაზედ ლაპარაკობდენ, მაგრამ ამ მიზეზმა ღიდი შევება მისცა და შეუშუსუბუქა დანაშაულობა. იქვე მალერიას გვერდზედ იჯდა ძვინტი ბორტენზი, რომელმაც თავის მჭრე მეტყველებით მთელი რომი გაამციფრა. ძვინტი ბორტენი ჯერ სრული ოცდაექვსის წლისა არ იყო. ის ღიდი ხანი სწავლობდა ორატორობას; ყოველივე იმის სიტყვა რალაცა ჰარმონიას მოაგონებდათ, ისე ნაირათ ლაპარაკობდა და მეტად სასიამოვნო იყო იმის სმენა. მუქი ტანსაცმელი უყვარდა და ისეთი ფაქიზითა ჰქონდა მორთული პლაში, რომ ერთი-ორათ კარგათ აჩენდა ამ პირსა.

როდესაც იტალიანებთან ომი იყო მაშინ იმან მიიღო ჯერ ტენტრიუნობა შემდეგ ტრიუმფობა.

ბორტენზის მჭრე-მეტყველობის და მეცნიერობის გარდა საშინელი სცენიკური ნიჭიცა ჰქონდა. როდესაც ის გამოდიოდა სცენაზედ და კითხულობდა, ამ დროს თვითონ გამოჩენილი ტრაგიკული არტისტი მხოზა და როსცია მიდიოდნენ, რომ იმისგან შეესწავლათ კითხვა. იქვე ტრიუმფალნი ალაყაფის კარების გვერდზედ, ერთს სკამიკაზედ იჯდა პატრიცის ყმაწვილი თავის მასწავლებელით; ის გართული იყო სხვა ყმაწვილებთან ლაპარაკით, თუმცა ტანსაცმელი ღიდისა ეცვა, მაგრამ ის იყო ახლათა ჰქონდა ამწვანებული წვერ-ულვაში, ისე რომ ჩვიდმეტ თექვსმეტის წლისა იქნებოდა. ის იყო დაბალი ტანისა, ავადმყოფი, სუსტი აგებულობისა, ყვითელის პირით, შავის თმებით და შავის თვალებით რომელშიაც გამოსჰვიოდა გონიერული მეტყველობა. მს იყო ჩვიდმეტის წლის ჰაბუკი ღიდ ლუკრეცია-კარ, კეთილშობილი გვარის ჩამომავლობისა.

ამ თორმეტის წლის ყმაწვილის მესაუბრე კვი კასსი იყო, პატრიციანის ჩამომავლობისა, კასია კონსულის შვილი და რომელმაც ისტორიაში პირველი

ადგილი დაიკავ, იმ დროს როდესაც უკანასკნელი მდგომარეობაში იყო რომის რესპუბლიკა.

ლუკრეცია და კასის ერთმანეთში ცხარი ბაასი ჰქონდათ. ორი ანუ სამი წლის განმავლობაში იმედია დიდი გამოჩენილი მგოსანი გახდებოდა. ის ხშირად დაიარებოდა კასიას სახლში და სრულიად დააფხას ამ ახალგაზდის მესაუბრის კუყუ, გონებითი განვითარება და იმისი სულგრძელობა, ისე რომ სრულიად მიიჩნია ამ ყმაწვილთან ყოფნას.

აგრეთვე კასიაც თანაუგრძნობდა ლუკრეციას სიყვარულს და სიყვარულს სიყვარულითვე უხდიდა; იმათ აკვეშირებდა ერთ ნაირი გრძნობები და მიმზიდველობა, ორივე სიძულვარით უყურებდნენ სიცოცხლეს და ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ ხალხზედ და ღმერთებზედ.

იქვე შორი ახლო ლუკრეცია და კასიას გვერდით იჯდა ჭაუსტი, სულლას შეილი, გამხდარი და ავანტურაფი ყმაწვილი, კეთიელი პირის სახით, რომელზედც დარჩენილი იყო ავანტურაფობის ნიშანი; ქერა თმებით, ლურჯი თვალებით და ბრაზიანი სახის გამომეტყველობა ჰქონდა პირის სახეზე. იმას მეტად ესიამოვნებოდა, როდესაც თითოთ უჩვენებდნენ იმაზედ, როგორც ბედნიერს შეილს, ბედნიერის დიკტატორისას.

მანამდის ხალხი გართული იყო ლაპარაკში, გლადიატორების მოსწავლენი თავმომწონეთ ერთმანეთს ეომებოდნენ თავისი ხმლებით იმ მოედანზე. ისინი ელოდებოდნენ კონსულებს და იმ ბატონს, რომელმაც რომაელებს დროს გასართობელი თამაში გაუმართა.

არავითარი სიამოვნება არ უგრძნებია ხალხს ამ უსისხლო ბრძოლის მოედანზედ, მაგრამ უეცრად გამოიღვიძეს და საერთო ტაშის კერა ასტეხეს. ამ უზარმაზარ ცირკში:—გაუმარჯოს, პომპეის!.. გაუმარჯოს ძნიი პომპეის!.. გაუმარჯოს დიდს პომპეის. ათასი ხმა ყვიროდა!

პომპეი შავიდა ცირკში და მესტალებს გვერდზე დაჯდა, რომელიც უცდიდნენ ამ სისხლის ღვრევას ამ ქალებსაც მოსწონდათ და ესენი მოლოზნათ იყენენ ალკეცილინი, პომპეიმ გაიგონა ტაშის კერა, წამოდგა თავისი ადგილიდან და მოწიწებით ხალხს თავი დაუქრა.

ოცდარვა წლისა იყო პომპეი, მაღალი ტანისა, მძლავრი, ჰერკულესის აგებულებისა, დიდი თავი, რომელზედაც შავი გიშვრით თმები ეყარა; დიდი და ჩამოშვებული წარბები, რომლიდანაც გამოიყოფებოდნენ შავი და დიდი თვალები, ცოტა გამომეტყველნი და თითქმის უმოძრაენი.

პომპეის სახეზედ აღმული ასლიოდა, მაგრამ ეს

ამ სახის ფორმა იმის გარეგან შეხედულებას უხდებოდა. ძატი რომ დაჰკვირვებოდა იმ უმოძრაო სახეზედ ვერაფერს ვერ იპოვიდა შესაშინვეს, მაგრამ ეს კაცი მთელი ოცი წელიწადი, თავის აზრებით მთელს რომში პირველი იყო. ხუთი წლისა იყო რომ ეომებოდა და დამსახურა სულოლასაგან დიდი სახელი.

მაინცა-და-მაინც პომპეის დიდებას, გმირობას დიდს ყურადღებას აქცევდა ხალხი, რომელიც ისხდნენ ცირკში 10 ნოემბერს 675 წელსა. ოცდახუთი წლისა იყო როდესაც ის გახდა ტრიუმფატორი და დიდი სიყვარული დამსახურა ყველა ლეგიონებისაგან, შემდეგ იმ ლეგიონებმა იმპერატორათ აღვიარეს.

შეიძლება პომპეიმ დამსახურა ხალხის სიყვარული იმ სიძულვილით, რომელიც ჰქონდა პლებებს სულლის წინააღმდეგ, რადგანაც პლებებს არ შეეძლო ეს სიძულვილი გამოეთქოთ სულლის წინაშე, ამიტომაც თავყანს ცემდნენ პომპეის და ტაშის კერით უღვიძებდნენ ამ გმირს მესხიერებას; თუმცა-კი პომპეის შეეძლო დაემტკიცებინა სულლისთვისა, რომ იმას არ შეუძლიან ის გმირობა, რაც პომპეისა.

პომპეის ცირკში მოსვლის შემდეგ თან მოჰყვენ კონსულები პუბლი სარცილი და პაი კლავდი; ამ კონსულების სამსახური პირველს იანვარს თავდებოდა, სერცილიის წინ ლიტორები მიდიოდნენ ხელში ნაჯახით, კლავდის უკან მიხდევდნენ—და ხელში ეჭირათ ერთი კონა წკეპლები შეკრული. (მს ნიშანი კონსულის ღირსების იყო)..

როდესაც მოედანზე შევიდნენ ყველა მაცქერალნი წამოდგნ თავიანთ ადგილებიდან და ამ მაღალ წარმომადგენელ რესპუბლიკის მართველთ დაუწყეს ცქერა.

ის იყო სერცილი და პლავდი. დასხდნენ თავთავიანთ ადგილსა და ხალხიც თავიანთ ადგილებზედ დაემშენენ. კონსულების გვერდით ორი სხვა ახალი კონსულები დასხდნენ, რომელიც ენკენისთვეში კომისიით ამორჩეულნი იყვნენ მომავალი წლისათვის; ესენი იყვნენ მარკ მმილი. ლევიდ და ძინტ ლუკრეცი კატული. პომპეიმ ძველს კონსულებს თავი დაუქრა და იმათაც დიდის მოწიწებით მადლობა გარდაუხადეს; შემდეგ ადგა ის და მივიდა მარკი ლევიდის ხელის ჩამოსართმელად, რადგანაც ეალდებულად სცნობდა თავის თავს, და პომპეი ყოველთვის მარკ ლევიდს ემოქმედნა სულლას წინააღმდეგ. ლევიდი მიეგება დიდის სიყვარულით და თავმოწიწებით. როგორც ახალ-გაზდა იმპერატორსა თავყანი სცა და პომპეიმ ღირსეულათ, გულგრილათ და ამაყურათ თავი დაუქრა. კონსულების ამორჩევის დროს, თუმცა უარს ამბობდა გლადიატორობაზედ, მაგრამ ყოველს ღონის

ძიებას ხმარობდა, რომ ლევიდი არ ამოერჩიათ, რომელიც თავის მტერათა სცნობდა და კი მარის მომხრე იყო. ეს წინააღმდეგი მოქმედება და პომპეის მომხრება შეადგენდა, რომ ლევიდის კანდიდატურამ არამც თუ აჯობა, არამედ მოიპოვა უმჯობესობა ლუტეცი კატულას კანდიდატურაზედ, რომელიც ლივარხის პარტიას ემხრებოდა.

როდესაც კონსულები მოვიდნენ, მოსწავლეებმა თავიანთ ბრძოლა მოსპეს და კრება გლადიატორების, რომელთაც უნდა ებრძოლათ იმ დღეს მომზადებულნი იყვნენ მოედანზედ გამოსულიყვნენ, რომ ჩვეულებისამებრ თავიანთ ეცათ უმთავრესი მართველებისათვის და მხოლოდ მოელოდნენ იმათ მალალ ბრძანებას. ყველანი თვალ ვაშტერებული უმზერავენ ოპიდუნს, რომლიდგანაც მოელოდნენ დაწყების ნიშანს, მაგრამ კონსულები აქეთ-იქით იცქირებოდნენ და თითქოს ვიღასაც მოელოდნენ, რომლისგანაც ნების დართეას მოელოდნენ. მართლაცა ისინი მოელოდნენ ლუტეცია სულლასა, რომელმაც დასტოვა დიკტატორობა, მაგრამ მაინც კი სრული მბძანებელი იყო მთელი რომის რესპუბლიკისა.

ბოლოს შეიქმნა ტაშის კერა, ჯერ სუსტათ და ბოლოს უფრო-და-უფრო ემატებოდა ისე, რომ ცოტა ხნის შემდეგ ყველანი აღტაცებულნი ტაშს უკრავდნენ. ყველას თვალყური ტრიუმფალნი ალაყაფის კარებისკენ ჰქონდათ მიქცეული; იმავე წუთში შემოვიდა ლუტეცია სულლა, თან მოაცილებდნენ სენატორები, მეგობრები, ქვეშევრდომნი და მონები.

სულლა ორმოცდა ცხრამეტის წლის კაცი იყო; სრული მაგარი აგებულებისა, მაღალი ტანისა და თუ მიმავალი ცირკში ის ნელ-ნელა მიდიოდა და როგორც ღონე წართმეული კაცი ბარბაცებდა, ამის მიზეზი იყო განუწყვეტლივი ქეიფები და თავ-შეუკავებელი ცხოვრება, რომელსაც ის განუწყვეტლივ ეძლეოდა.

მაგრამ იმისი დადამბლაევა და სისუსტე მტანჯველი სენის შედეგი იყო, რომელიც პირის სახეზედ ავადმყოფის ელფერეს და სიბერეს ბეჭედს ადებდა.

ი. კავთელი.

(შემდეგი იქნება)



ველტანი

ბამოსალმება

მოასლოდად დრო გამოსაღმების; გამღვიპული უცხო ვნებების...

წამი უმკვანი, აღუწერელი.
უკანასკნელად გეტყვის: „მშვიდობით“!
სიყვარულისა აღსავსებით,
გული-გრძნობათა გამოქცეული.

მა, მომკარუ. კვლავც შემესუ.
კვლავ გააგოე ჩემი გრძნობები.
მიხვეწე ერთი ქვეყნად სამოთხე;
გაფანტე შენებრ შავი ფიქრები.

რომ შენი სახე იქ— შორსა მსარეს
დამავიწეებდეს სატანის ზრეს.
სულს ამხვევდეს, გულს აგრილებდეს.
და სან-დის-სანაც განქვიანებაში,
წელულით მონებულს. უმკვანს ვნებაში
შენს ტებოლს დიმილსა მომაგონებდეს!

ერთად ერთს გვედრი: ნუ დამავიწეებ.
შენით ტანჯული გებრძლებოდე!
მშვიდობით იყავ! მხოლოდ გაუწეებ
სიზმარში მაინც შეხვეწებოდე!

და ვინცობა დარდს კერ გადაურჩე
გვედრი: იგაწეე მაშინ სიურჩე.
როს მოგვესადო დასატოვებლად
ამა სოფლისა. მაშინ მოფრინდი,
გარდამატაღე თვალთაგან ბინდი,
გამისლდი მშეთ და მანუგაშებლად.

რ. აღისუბნელი.

მთა-ნახშირი

ამბავი, თს/ს. კარმენ სილვასი

თარგმანი ფრანციულით

ლამაზი პონა საშინელი ამპარტავანია, საშინელი, თუმცა იმის გამოისობით არა რომ მან იცის თუ რა შავი დიდრანი თვალეები, ფართო გადაჭიმული წარბები და ლამაზი ცხვირი აქვს; ტუჩები მართალია თუ სიპატარავით ყურადღებას ვერ მიიქცევენ, კარგ მოყვანილობით კი კაცს მიიზიდვენ, და როცა პონა იცინის ისენი გამოაჩენენ ორ წყება დასაკვირველ თეთრს კბილებს; უკან გადავარცხნილი სქელი შავი თმით მისი ფართო შუბლი არ იფარება. დადის პონა ნელა, აუჩქარებლივ, თავ მალლა დაკავებით; ეს ისეთ შეხედულობას აძლევს მას რომ სოფელში ყველა «პრინცესას» ეძახის.

მაგრამ კაცმა უნდა სთქვას, რომ პონა სრულიად არ არის იმისთანა ამაყი და მიუყარებელი ვინმე, რომ მან პირი იქით მიიბრუნოს და ერთი თვლით მიინც არ გადახედოს თანასას როცა იგი ხანდახან გვერდს გაუელის; როცა ჰორას*) თამაშობა ერთათ შეხედვებთ ყველა ატყობს რომ პონა ამ შემთხვევაში შესამჩნევათ მხიარულია და სულ სხვა ეშხით ცეკვობს. სოფლის ბიჭებმა იციან გოგოს უგულვარილობა თანასასადმი და ამიტომაც ხშირათ გადევნიდებიან პონას, თავს მოაბეზრებენ ბიჭუნდ ლაპარაკით, ისეთ ნაირ მასხრობას დაიწყებენ, რომ ქალს გააწითლებენ, მაგრამ არც ის დარჩება ხოლმე უკან ამ შემთხვევაში: ისეთ ნაირ პასუხს მისცემს, იმ გვარ მახვილიან სიტყვას სტყორცნის, რომ თავაგდებულ მასხარას სურვილს დაუკარგავს გაიმეოროს თავისი ლაზღანდარობა. ბევრს ძირეფ უტრს თანასას ბედი; განსაკუთრებით ყველა მაშინ შენატროდნენ მის იღბალს, როცა მთელმა სოფელმა შეიტყო პონას და თანასას დანიშვნა.

ზამოცხადლა ომი. თანასა ჯარში უნდა წასულიყო და ამიტომაც ბიჭი ღუნისკენ გაემგზავრა. პონა გულს იმაგრებდა—სხვისთვის ცრემლები არ უჩვენებია, მაგრამ ჩუმათ მარტოობაში კი ბევრს სტიროდა. ქველას ეცოდებოდა საწყალი გოგო, მაგრამ მანუგეშებელი სიტყვა ვერავის ეთქვა, —ყველამ იცოდა რომ განუსაზღვრელი უბედურება იყო პონასათვის თანასას ომში წასვლა.

პონას ცდა და წადილი ახლა ის იყო რომ რაც ჯარიდან ამბები მოდიოდნენ ყველაზედ წინ მას შეეტყუო; ამისათვის დაჯდებოდა სოფლის შესავალთან და ეკითხებოდა ყველა მომავლელს ჯარიდან რა ამბავი ისმისო. როცა გაიგონებდა ჯარზედ ლაპარაკს მისი გული ძალზედ სცემდა, იმ გვრათ აღელდებოდა რომ ფეხზედ დგომას ვერ სძლებდა და სრულიად მისუსტებული იქვე ქვაზედ დაეშვებოდა; ძილმაც უსუსტა პონას; მთელი ღამეები არ სძინამს და თვალწინ უდგანან საშინელი მოჩვენებანი სადაც თანასა ხან მკედარი, ხან საზარელათ დაჭრილი წარმოუდგება, მოჩვენებანი მოსვენებას არ აძლევენ და მათ მოსაშორებლათ იძულებულია იქონიოს ოთახში ღამ-ღამობით გაუქრობლათ სანთელი.

ოითქმის შუა-ღამეს გადაცილებულია. პონას ჯერ ტანიც არ გაუხდია ისე ზის თავის საწოლზედ. შიშვით მჯდომი ფიქრებს მისცემია; შავი ღიღრონი ჩაფიქრებული თვალეები ერთ ადგილას აქვს მიბჯენილი, პაწაწინა ხელეები მუხლებზედ უწყვია. არ იცის

პონამ რა მშენიერება იგი ახლა! ზარეთ სახლთან ვილაცა დადიოდა, მაგრამ ქალს ეს ვერ შეემჩნია. მრთბაშათ ფანჯარასთან მოისმა რაღაც ხმაურობა. შიქრიდან გამოყვანილმა ქალმა ერთი იკივლა, წამოვარდა ზეზე და შეაჩერდა ფანჯარას ისე თითქო უნდოდა თვლით გაეჭრა ღამის სიბნელე და დაენახა ხმაურობის მიზეზი. სოტა ხნის შემდეგ მოისმა; — „პონა! ჩემო ძვირფასო... ზამოხმედე... მე ვარ, მე, შენი თანასა!“

პონამ იცნო ხმა; უცბათ გაალო კარი; ფეხის გადადგმასთანვე მან იგრძნო თანასას ხელეების შემოხვევია. ქალმა ხელის კერით მოიშორა ბიჭი.

— შენა ხარ თანას! რა ამბავია?

— რა ნაირათ მეკითხები პონა?... თუ დაგავიწყდა ეინ მომცა მე ეს ბეჭელი და ეს ხატი?... პონა ველარ გავქელი უშენოთ... სიცოცხლე გამიმწარდა... მოვინდომე შემეტყო რომ შენგან არა ვარ ჯერ დავიწყებული.

— ნება მოგცეს ჯარი რომ მიგიტოვებია?

— არა.

— არა?! შენ კი აქ ხარ?... მე როგორაა?... ზათავდა ომი თუ?..

— მაი მე რომ არა!.. ღა ვინ იცის კიდეც როდის გათავდება! მე... მე გამოვიპარე... შენს სანახავათ... შენმა სიყვარულმა აღარ დამაყენა!..

— ჩემმა სიყვარულმა არ დაგაყენა!?—პონამ მოკლეთ და ხმა შეკავებით გაღიხარხარა; რამ მოგაფიქრებინა მითხარი ეგ ამბავი... ბევრონა მასიამოვნებლი მაგით, რომ ჩემი საქმრო შემინებული მენახე. ჯარიდან გამოპარული! მერე რა რიგათ?... ზოგორ მოგივიდა ეგ თავში, ა?... რას გაზუმებულხარ, რას?!. ბესმის!—ზასწი... საითაც გინდა წაეთრიე, გადიკარგე, ოლონდ მე ნუ დამენახებები... ჩემმა თვალეებმა ამას იქით არსად დაგინახონ!..

— პონა, ეგ არის ჩემი სიყვარულის მაგიერი? პონა, დასალუპავათ მგზავნი, სასიკედილო ადგილას, პონა?

— სადაც გნებავს!... მაგრამ ეს კი იცოდე, არ დაგავიწყდეს, რომ პონა თავის ღლეში შენ ცოლათ არ გახდება!.. ჩემს ღლეში... მოკვდელები და შენისთანა მხდალს ქმრათ არ დავასახელებ, იმიტომ რომ შენისთანა ქმარი საზიზღარი იქნება მხოლოდ.

— პონა, შენ სხვა შეგიყვარებია!

— არა, თანასა, არა... შენს მეტი ჯერ მე არავინ მყვარებია... რაც შენ ჯარში წახვედი იმ ღლიდან მოკიდებული რა არის მოსვენება პონამ არ იცის; ღლე და ღამ სულ შენს ფიქრში ყოფილა და იმას კი ვერ წარმოიდგენდა თავის ღლეში რომ მისი სიყვარუ-

*) რუმინების ცეკვაა.

ლის საგანი ყოფილიყოს უგენაო, თავს აკლავდა ვი-
ლაცა მხდალს სულ-მდაბალ არსებას... ამას, ამას ვერ
წარმოიდგენდა პონა თავის დღეში!

ძალია ორივე ხელები მიიფარა სახეზედ; იგი
ტიროდა.

— მე კი ვიმედოვნებდი სიხარულით მიღებას...

თავს შევიფარებდი...

— ოჰ, ოჰ, ღმერთო! რა საძაგლობაა! პა-
ტიოსნობაზედ ხელის აღებაა, შეპყვირა ქალმა. რა
პატიოსნების ახლა და თავის დამცირებაა მე რომ
შენგან დანიშნული ვარ!? ზამიგონე!... ზამიგონე!..
იმ მთას, ხედავ, იმ მთას. ყოველისფერს გეფიცები,
რომ ის მთა უფრო ადრე ფერფლათ იქცევა, ერთი-
ნათ ცეცხლი სჩანთქავს, სანამ პონას შენს ცოლათ
ნახამ?.. ბესმის?!

— მე კი, მიუგო მანასამ, მე კი გარწმუნებ,
პონა, რომ დღეის შემდეგ ცოცხალს ვეღარ მნახავ!

ამ წუთში ქალი და ბიჭი პირ-და-პირ იდგნენ
და შესჩერებოდნენ ერთმანეთს... მათი თვალები ბნელ-
ში ნაპერწკლებით ინათებოდნენ.

შეცრათ, ცას წითელი შუქი გადაეკრა და არე-
მარე გაანათა; განციფერებულებმა ზვით აიხედეს და
თვალწინ წარმოუდგათ განათებული მთის კალთები.
სინათლე რაც ხანი გადიოდა თან-და-თან ვრცელდე-
ბოდა და ბოლოს ავარდა საშინელი ალი.

ძალი და ბიჭი იდგნენ გაშტერებულნი.

სოფლად შეიქმნა ძაღლების ყეფა, ქათმების კა-
კანი; ყოველისფერი აიძრა; აქა-იქ სახლებში აღებდნენ
ფანჯარებს და შეშინებული სოფლელები გამორბო-
დნენ გარეთ და ერთი მეორეს უყვიროდა: «მთა იწ-
ვის! ტყე იწვის!» მთელი სოფელი გარეთ გამოდიო-
და. პონამ ერთბაშით წააფლო ბიქს ხელი და იქით
მიადგო: „რალას გაჩერებულხარ?!.. ღაიმაღე სადმე,
თუ სიკვდილი არ გინდა!“ ამ სიტყვებით თვითონ
სწრაფლათ შევარდა სახლში, გადიკეტა კარი და გააქ-
რო სანთელი. აღელვებული, გულის ძვრით თვალს
არ აშორებდა მიმრბენაე მანასას, რომელიც ხან-და-
ხან ამოეფარებოდა რომელსამე სახლს სინათ-
ლეში რომ არ დაენახა ვისმეს. ბალუღუნებული ცეცხ-
ლი კი თან-და-თან მატულობდა. მეზობლებმა ბევრი
უძახეს პონას გამოეხედა, დაენახა რა ამბავი ხდებო-
და გარეთ, მაგრამ მას ხმაც არავისათვის გაუცია.

ამ დღის შემდეგ პონა სადღაც გაქრა; დრო
გამოშვებით თუ გამოჩნდებოდა სადმე; თორემ მიი-
მალებოდა მიგდებულ ადგილას და მარტობაში ატა-
რებდა მთელ დღეებს. მისი სახე შესამჩნევათ გამოიცი-
ვალა; მისი ლამაზი, წინედ მუდამ მოციხარი ტუჩები,
ალარ იცინოდნენ; ეტყობოდა მძიმე სევდა აწვა გულს.

გაყურებული მუშაობს მთელი დღე სანამ იქამდისინ
არ მიღწევს, რომ დასუსტებული უგრძობლად არ
დაეგდება მიწაზედ; თავისუფალ დროს დგას წყლის
პირას და ჩასჩერებია წყალში თავის სახეს ანა და
თვალ მოუწორებლათ უყურებს ბიურჯვის მთას.

სოფლად ხმა გავარდა მანასას ჯარიდან დაბ-
რუნებაზედ. ზოგიერთნი ფიცულობდნენ ბიჭიც ვი-
თომ ენახოთ სინათლეში იმ ღამეს მთა რომ იწვოდა
და ხმაც გავგონათ მისი ერთათ პონას ხმასთან. რო-
ცა ამხედ პონას დაეკითხნენ, იგი გაწითლდა, ოფ-
ლიც კი გამოასკდა შუბლზედ და ეს მიუგო აკან-
კალებული ხმით: — „მე მგონია ყველამ უნდა იცო-
დეთ, რომ იმ ღამეს არც სინათლე გეკონებია სახლ-
ში, არც გარეთ გამოესულვართ და ჩვენსას ყველას
ეძინა!“ პონას დედამ ამას თან დაატანა თავის გაქნე-
ვით: «ამ ჩვენ სულელ ქვეყანაში ვინ იცის ვის რა
არ მოეჩვენებოა».

მთელ სოფელს სალაპარაკოთ ახლად მოტანილი
ამბავი აქვს: აქვე, მახლობლად (ყოფილა) მომხდარა
ჯარების საშინელი შეტაკება. მს ამბავი ამ შემთხვე-
ვაში პონამ ყველაზედ გვიან გაიგო; შეტყობა და
სახლში შევარდნა მისგან ერთი იყო; საჩქაროთ მოისხა
შალი, გამოხვია ხელსახოცში ქაღი და კიტრები და
გზას დააპირა. ღედის კითხვაზედ „სად მიხვალ“,
მან უპასუხა: — „ჩემს მოსელამდინ, დედა, ნუ შეწუხ-
დები, მე მალე დავბრუნდები“.

ბრძოლის ველი იმოსებოდა სალამოს ბინდით,
მკვდრები და დაჭრილები ათასობით ეყარნენ მიწაზედ
ცხენები დაბოდნენ მინდორში და უწყალოთ სკყლეტ-
დნენ მიტოვებულ მეომართ. ჯარს მახლობლად დაე-
ბანაკა. სიკვდილს გადარჩენილი მეომარნი გარს შე-
მოჯდომოდნენ ცეცხლს და თბებოდნენ, ყურსაც არა-
ვინ ათხოვებდა კენესას და ყვირილს მინდვრიდან რომ
მოისმოდა.

რალაც ფიგურა, ქალის მსგავსი კი, გამოჩნ-
და მინდორში და მიუახლოვდა იმ ადგილას სა-
დაც მარტო მკვდრები ეყარნენ. უშიშრათ და-
დიოდა იგი ყოველგან და სიბრალოთით უეცილად
დაჭრილებს და მიაწოდებდა ხან წყალს ხან ქაღს.

ამომავალმა მთვარემ გაანათა საზარელი შესახე-
დავი მინდორი. ძალი კი დაეხეტებოდა იქით-აქეთ;
ადგილას დაეშვებოდა ძირს და ყურადღებით დასჩე-
რებოდა მგდებარე მკვდარს ან დაჭრილს. მტყობოდა
ვილაცას ეძებდა.

არე-მარე ძილში იყო ჩაღრმავებული. პონას
არც ახლა დაუნებებია თავი მინდორში სიარულს. ხან-
და ხან წამოიძახებდა ხოლმე: „მანას! მანას!“ პა-
სუხათ მოისმოდა რალაც მძიმე ამოხვრა; გულის

ძვერით ძირს დაეშვებოდა, მაგრამ სხვას ნახავდა და არა მის თანასას; იგი აქ არსად ჩანს.

თენდებოდა. მთვარის სინათლე ქრებოდა.

მრთ ადგილას პონამ დაინახა მიწაზედ რაღაც ბჭყერილებდა; დააჩერდა, — მიწაზედ ეგდო თითქმის სრულიად გაშიშვლებული მკედარი; მაგრათ შეკრულ ხელებში ეკირა კისრიდან ჩამოვარდნილი პატარა ხატი; ერთ თითზედ ჰქონდა ბეჭედი. პონა უფრო ჩააჩერდა. „თანას!“ იკივლა ქალმა და იქვე დაეშვა უგრძობლათ. საცოდავი თანასა ისეთ ნაირად იყო დამახინჯებული რომ მისი ვინაობის შეტყობა სწორეთ გასაჭირი იქნებოდა სხვისათვის. ძალი გონს მოვიდა, მოიკრიბა ძალ-ღონე და მიეშველა თავის ძვირფასს. საჩქაროთ მობანა მისთვის საყვარელი ეხლა კი უსიცოცხლო სახე; პონამ შეჰქნა მწარე ღრიალი. ტყვიას სრულიად დაეჩქქვა ცხვირი და ორივე თვალები ამოეწვა. სისხლმა იწყო ხელ ახლად დენა. პონა იმედს არ ჰკარგავდა თანასას გამობრუნებაზედ; კიდევ მობანა დაპრილობა, შეუხვია თავის კაბის ნაგლეჯებით იგი, ძალით გაუხსნა სასა და ჩააწვითა პირში წყალი.

სოცხალ-მკედარმა მძიმეთ ამოისუნთქვა და შერე როცა მოესმა თავისი სახელი, ასწია ზვით ხელი და დაუწყო სინჯვა პონას, თითქო ამით უნდა ეცნო ვინ იყო მისი მშველელი.

— ჩემი პონა! ძლივს წაიბუტბუტა თანასამ, დამაცალე სიკედილი, პონა!..

მე ამ სოფელს აღარა ვარ... ღაებრმავდი!...

— არა, შეჰკივლა პონამ, არა, შენ ჩემი საქმრო ხარ!.. ღეთის შემწვობით მალე ქმარსაც დაგიძახებ, მაგრამ ახლა კი სუ, გაჩუმდი!..

არა ერთმა და ორმა კვირამ გაიარა ამ დღის შემდეგ, რომელთ განმავლობაში პონა თანასას საწოლს არ მოშორებია და მის მოვლას უნდებოდა, ღამე ღღესთან გაუთანასწორებია.

მრთ ღღეს სოფლის გზაზე მიმავლელთ შეხვდებოდათ ორი მგზავრი. მრთი მათგანი, კაცი, ბრმა იყო, ზედ მაზარა ესხა, გულზედ საპატო სისხლის ჯვარი ეკიდა; ბრმას წინ მიუძლოდა ყმაწვილი ღამაზი ქალი. მს უკანასკნელი ვისაც კი შეხვდებოდა ყველას შემდეგ სიტყვებით მიმართამდა: — „ეს გახლათ ჩემი საქმრო, როგორც ხედაეთ დამსახურებული და ვაჟ-კაცობისათვის დაჯილდოებული!.. შეხედეთ მაგას და იცნობთ ვინც არის!“

— საცოდავი! ამოხვრით ზედ დაუმატებდა ხოლმე თანასა.

თავის ღღეში ახლო-მახლობლად არავის არ ქონია იმისთანა ქორწილი როგორი ქორწილიც პონას და თანასას ჰქონდათ. საიდან ვინ არ მოვიდა ახალ

ჯვარ-დაწერილების სანახავათ. ბევრს ძრიელ ეცოდებოდათ ღამაზი პონა — ქმრათ, საბრალომ ბრმა ამოირჩიაო, მაგრამ ქალი კი ბედნიერებათ სთელიდა თავის თავს, მხიარული იყო და ყველას ამას ეუბნებოდა სიცილით: — „აბა ვის ჰყავს ჩემისთანა ქმარი, სახელოვანი, დამსახურებული, — მე შემძლია მავით ვიამპარტაენო! ბრმა არის?! — არასფერი; ღმერთი მოწყალეა! ჯანი და ღონე მე არ მაკლია რომ ჩვენთვის სამყოფი ვერ მოვიმუშავეო მარტო!“

რაც შეეხება მთას იმ სამახსოვრო ღამეს რომ იწვოდა, ხალხმა მას «მთა-ნახშირი» დაარქვა, რადგანაც იქ მოსიარულე მწყემსები და მონადირენი იტყოდენ ვითომც მათ იქ ენახათ ნახშირათ დამწვარი კლდეები.

დ. კლდ—ილი.

სწიპო

ნ ა რ ე ვ ი

გამოცანები

ზემო იმერეთში შეკრებილი სოსიკოსაცან

1

შეხვე და შავი იყო,
მიკედი და მკვდარი იყო;
ფეხები რა დაუჭირე —
ნაცოხარი ამოიღო.

2

ორბი ორბის ოდენი,
თავი გოჭბის ოდენი;
გამოდგება დაიძახებს:
მე ვარ ქვეყნის ოდენი.

3

ვეი-ვეისა,
ფეხი მდვეისა;
ხტომა გერმისა,
ხმა-ხურაბისა.

4

დავბამ დაიარება,
აუშვებ და გაჩერდება.

5

თავიანა სკობაო,
ფეხი ტანტრახუშაო;

ეუწს უკანა უღვასუბი,
უკან წვერი ასხიაო.

6

ყოველ სეში ნაქები სარ,
ხე სარ, მაგრამ როგორ სეო!
ამ სოფელიერთ უძღურთ,
საიქიოს სამოთსეო.
მეფისა და დედოფლისა
ეულსედ სელის გადამსეო.

7

ქეუენის ვარი ღანკარს მიდის,
შენ რას შერები კინკარა?
—ჩონის ძველი მიკატოკე,
გადმოკარდი ტკლიშანაო.

8

თეთრი არი-თოვლივითა,
გამსერეღია ქონივითა,
ფსევარი მიწასავითა.

9

უსხავ-უთესათ მოსული,
სამთაის მიწაში სმინავსო.
თეთრი შერანგი აცვიან,
თავი მიუგავს ინასო.
დიდი კაცის ჭამაშიდა,
საინებზედ დაგდინავსო.

10

ქოთქოთამ დაქოთქოთა,
გარს შემოისსა შვილები;
არც არის მისი შვილები,
არც არა შვილი-შვილები.



შეშლილი სიყვარულისაგან *)

ღრმა 5 მოქმედ. თსზ. ღონ-მანუელ ტამისი და ბუსისა

მეორე აქტი

მოთახი სასტუმროში; კარები, სცენის სიღრმე-
შიაც მეორე, იმის იქით ეზო მოჩანს, მარჯვნივ კა-
რიდორში კბე მიდის, ამ კარიდორის ერთს ნაწილში
კარები აღდარის ოთახში შესასვლელად. სტოლი,
სკამები.

*) იხილეთ „თეატრი“ 1885 წ. № 15.

სცენა 1

ძაბილიონის პატრონი, მდევარი: პირველი, მეო-
რე და მესამე და რამდენიმე სხვა მუშტარი მისჯლო-
მიან სტოლს. ოტა ხნის შემდეგ შემოდის სასტუმ-
როს გოგო.

1 მდეგარი. სწორეთ ეს ასეა: იმაზე კარგი არაფე
რია ქვეყანაზე, როგორც კეთილი მეფე, და ისეთი ცუ-
დიც არაფერია—როგორც ბოროტი...

გაზილიონის პატრონი. ოღონდაც: კეთილი—
მღეთის სახეა დედა-მიწაზე მოვლენილი, ბოროტი კი
ემშაკის სახეა.

2 მდეგარი. (დაცინეთ) შენ ესა სთქვი და: ხალხი
შემშილითა სწყდება, ჩვენი მეფე კი გარდასახადში
მილიონ მარავოდის თხოულობს.

3 მდეგარი. ფლამანდელებს ძალიან უყვართ კას-
ტილიის ფული...

1 მდეგარი. მართლაცა და ეს ბატონები მეტის-
მეტად ეტრფიან ძასტილის ოქროს; ამათ ხელები
გძელი აქეთ, სინდისი კი ვანიერი...

გაზილიონის პატრონი. მგონი მარტო იმისთვის—
რომ გაუმადარი გამლეღ-გამომლეღისთვის ალაგი
დაგვაცლევინონ; ამითი აიხსნება—რომ მეფემ ქალა-
ქებს საკუთარი კორეხიდორები გადააყენებინა, ცი-
ხეებს—ალკადები და სამიჯნო სიმაგრეებს კომენ-
დანტები.

1 მდეგარი. და ყოველი ამის შემდეგ დედოფალი
თვის სიცოცხლეს ეჭვიანობაში ატარებს.

2 მდეგარი. ამბობენ—დედოფალი ტკუაზე შეიშა-
ლაო.

გაზილიონის პატრონი. ეგლა გეკლდა: დე-
დოფალი ტკუაზე შეშლილი, მეფე დაუდევარი!

3 მდეგარი. ღონა-ხუნა რომ რითიმე ჰგვანებოდა
თავის დედას იზაბელას, იგი შლამანდიის მეფის ხელ-
ში არ ჩაგვერიდა.

1 მდეგარი. ღონა-ხუნა რომ რითიმე ჰგვანებო-
და თავის დედას იზაბელას, იგი შლამანდიის მეფის
ხელში არ ჩაგვერიდა.

2 მდეგარი. არწივი იყო განსვენებული დედო-
ფალი.

გაზილიონის პატრონი. ჰო, მეგობრებო, დედო-
ფალი იზაბელა ძალიან სათნო არსება რამ იყო, ცხა-
ლია, რომ ზეცას სდომებია მისი სათნოებით შემეკობა
და საუკეთესო დედოფლად წარმოგზავნა.

3 მდეგარი. ამას ნამდვილს გეუბნებით, რომ უბ-
რალო მუშას ისე მიიღებდა ხოლმე როგორც გრაფს
და გერცოგს.

1 მდეკარა. მართალია! მართლმე თვითონ მუხლ-მოდრეკილი დახვები იმას, როდესაც იგი სასახლიდ-გან გამოდიოდა; იმან ყველაფერი მომისმინა და მართლ-მსაჯულობა გამიწია. ჩემი პატარა ბლაზიც იქა მყავდა. დედოფალი მიესაყვარლა მას და აკოცა კიდევ. მას აქეთია მეც და ჩემი ტერეზიაც იმას წმინ-დანათა ეთელით. როდესაც მის გარდაცვალების დღე დადგება ხოლმე, მისი სულის მოსახსენებლად უკანასკ-ნელი ჯიბის ფული მიგვაქვს საყდარში სანთლების საყიდავათ. ჩვენ ყოველ წელიწადს ასე ვიქცევით და იმედია ჩვენი შვილებიც და შვილი-შვილებიც ჩვენს გზას არ გადუხვევენ.

2 მდეკარა. მე თავის დღეში არ მენახა დედოფა-ლი. ერთხელ კი მახსოვს იმან ჩემს ახლო გამოიარა და მე ვერ შევძელ თვლის გამართვა.. მე ის რალაც წმინდანად მიჩვენა და შეხედვაც კი ვერ გავებდე.

კაპილიანის ჰატრანი. იგი ნამდვილი მადონა იყო...

1 მდეკარა. იმან გავგანთავისუფლა ჩვენი ესო-ძრის-ტეს და მღვთის-მშობლის მტრები-მაგრებისაგან.

2 მდეკარა. დედოფალმა იზაბელამ აბჯარით და ხმლით შეარაღებულმა გამოსცადა სუყველა ადრია-ნობა, გამოსცადა ომის ყველა ხიფათი, მოითმინა უბედურობანი, როგორც უკანასკნელმა სალდათმა.

3 მდეკარა. იმან გაყიდა ყოველი თვისი ძვირ-ფა-სეულობა—რაათა ისპანიისთვის ახალი მიწები შემოე-ერთებინა.

კაპილიანის ჰატრანი. იმას უნდა უმადლოთ ჩვენ, რომ ეხლა ბატონების არ გვეშინიან, იმ ბა-ტონებისა, რომლებიც თავიანთ სანადირო ძალებზე უფრო ავად გვეკიდებოდნენ.

1 მდეკარა. დედოფალი იზაბელას წყალობაა — რომ დღეს ჩვენც ქვეყანაზე ხმა ამოგვეღებება.

2 მდეკარა. ღმერთო, რა კეთილი რამ იყო! რა რიგად ზრუნავდა ჩვენზე!

კაპილიანის ჰატრანი. იმისი პირველი ზრუნვა ის იყო, რომ ხალისი დღეგრძელი ჰყოლოდა.

3 მდეკარა. ამბობენ, იგი როგორც წმინდანი იმ გვარად გარდაიცვალაო.

კაპილიანის ჰატრანი. ეგ რა საკვირველია, რო-დესაც იგი ცხოვრებითაც წმინდანს მიემგზავსებოდა.

1 მდეკარა. ცოლა ამისთანა დედა-კაცების სიკე-ლილი!

კაპილიანის ჰატრანი. შენ არ იცი, რომ სიკე-ლილს ვერაფერს გავიქცევა?

1 მდეკარა. მე მზათ ვიყავ მის სიცოცხლისთვის შემეწირა ჩემი სიცოცხლე.

კაპილიანის ჰატრანი. ეგ რომ შესაძლებელი

ყოფილიყო, დედოფალი ხომ საუკუნოთ ცოცხალი იქნებოდა.

2 მდეკარა. მართალს ამბობ შენ, ჩვენც მაგრე ვეფიქრობთ.

კაპილიანის ჰატრანი. მაშ რა გგონიათ? განა ეინმე დაიზარებდა იმისთვის თავი შეეწირა? მაგრამ რადგანაც ეხლა ჩვენ აღარ შეგვიძლიან მისი ხელ-ახლად დაბრუნება, თვალ-ცრემლით შეკაყვედროთ იგი ღმერთს, უეჭველია ჩვენი კეთილი დედოფალი შე-ციდგან შეჰნიშნავს ჩვენს ცრემლებს და შეგვიწყნარებს ჩვენც.

1 მდეკარა. დაჯილდოე, უფალო, იგი სათნოე-ბისათვის... მართალ ერთს შეგიძლიან ღირსეულად ყოველის დაჯილდოება.

შველანი. დაჯილდოე იგი, უფალო, დაჯილ-დოე.

კაპილიანის ჰატრანი. პარგით გვეყოფა მასზე მწუხარება, სჯობიან მისი სული შეგვედროთ ღმერთს, (სუყველანი წამოდგებიან იხდიან ქუდებს და რამდენიმე მინუტი ჩუმათ ღოცულობენ) ამინ! (სუყველანი). ამინ! (პირჯვარს იწერენ).

კაპილიანის ჰატრანი. დავლიოთ ეხლა. შველანი. ჩქარა, ჩქარა! (ასხამენ ღებონს)

კაპილიანის ჰატრანი. საუკუნოთ იყვეს ხსენება ჩვენი კეთილი დედოფლისა.

შველანი. საუკუნოთ იყვეს ხსენება მისი! (სმენ) მოსამსახურე გოგო. (შემოვა) ვახშამი მზად გახლავთ.

1 მდეკარა. მადლობა ღმერთს!

ყველანი. ეჭამოთ, ეჭამოთ ვახშამი! (ზოგოს ჩე-ნებით გადიან შუა კარებიდგან).

სცენა II

კაპილიანის ჰატრანი და ალდარა (რამდენიმე მინუტით წინ გამოდის ოთახიდან და კბეზე ჩამო-დის).

ალდარა. რა ამბავი იცი?

კაპილიანის ჰატრანი. ჯერ არ დაბრუნებულა. ალდარა. (თავისთვის) ან! (მალლა) ის შლამან-დიელი რაინდი, რომელიც მუდამ ამ დროს მოდის ხოლმე?

კაპილიანის ჰატრანი. არც ის მოსულა ჯერ. ალდარა. მე თქვენთვის გამამიცხადებია, რომ მე მისი ნახვა არა მსურს.

კაპილიანის ჰატრანი. სასტუმროში სიარულის მე ვერაფერს ვერ აუკრძალამ, მეტადრე იმისთანა მუშ-ტარს, რომელიც ბევრსა ხარჯავს. მე დიდი სიამოე-ნებით დაეთანხმდებოდი ჩემს ბიძაშვილად ამეღვიარები-

ნეთ—მაგრამ მეშინიან რომელიმე კულიანმა არ გამო-
აშკარავოს ეს სიცრუე...

ალღარა. (ნიშანს აძლევს — რომ იგი გავიღეს)
მე თქვენ სასტუმროში ბევრი ხანი აღარ დამედგო-
მება.

კაპილიანის შატრანი. (თავისთვის) ეგ კი საწ-
ყენია! (გაღის შუა კარებში).

ს. ნ—თ—ქსია.

(გაგრძელება იქნება)

პართული თეატრი

სამშაბაის, 18 თებერვალს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

გ ა ე რ ა

ძომედია 4-ს მოქმედ., თხზ. თ. ბ. პრისტავისა

II

აკაზაკები

პრთი სცენა შილერის ტრაგედიიდან.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რედაქტორი და გამომცემელი ვ. ზაშვიძე.

განცხადებანი

ინტეგრება და ჩქარა გამოცემა

ო. თ. ხ. - მოქმედებანი ისტორიულად დრამა

თხზ. თ. ა. წამათელიისა

ღეამარ ცხიერნი

რადგანაც ეს ღრამა დაიბეჭდება ორასი
ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველ-
თაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდე ხელის-
მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს
«თეატრის» რედაქციას.

ფასი ათი შაური

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 15 февраля.


სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

ახალი წამათელი

ილია ჭავჭავაძე

ბრ. ორბელიანი



ბიძგაძე-ქიქაძე

ბიძგაძე-ქიქაძე

საბოლოო მისი

ჩინებულ ალექსანდროვის ქალაქზედ
მსატყობს ა. ბერიძის

ისყიდება გრაქურაგის წიგნის მაღაზიაში,
ტუკის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში
და ი. საფარაგის ბაკალიინი მაღაზიაში, პრ-
რუნისეულ ქარვასლაში.

განც ათს ან მეტს სურათს გამოიწერს, მა-
შინ თათო სურათი 16 კპ. დაეთმობა.

გაისხსა ხონში, ფოქტის სტანციის პირ-და-პირ

წიგნის მაღაზია წამათელიისა,

რომელშიაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული
წიგნები, რუსული და ქართული სახელმძღვანელოები
და კანცელარიის ყველა საჭიროებანი. Хонн. вни-
жнй магазинъ Церетели.

Типографія Меликова. სტამ. მედიკოპედიისა.